ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიდუბის რაიონის(დიღმის მასივი)

მაჟორიტარი დეპუტატის

თარაშ შურღაიას წარმომადგენლობის

2019-2020 წლის ანგარიში .

პირველ რიგში მინდა შევეხო საკრებულოში ჩემს საქმიანობას. მე ვარ თბილისის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" თავჯდომარის მოადგილე.ასევე 2 კომისიის წევრი: გარემოს დაცვისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

სულ საკრებულოში ჩატარდა 17 სხდომა.

დასწრება 7

მიღებული დადგენილება 134

განკარგულება 388

ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ჩატარებული სხდომა 16

დასწრება 11

განხილული საკითხები 21

გარემოს დაცვის კომისია

ჩატარებული სხდომების რაოდენობა 15

დასწრება 11

განხილული და შესწავლილი საკითხების რაოდენობა 74

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

სხდომების რაოდენობა 11

დასწრება 6

შესწავლილი საკითხების რაოდენობა 99

წარმომადგენლობა

წარმომადგენლობის სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე. წარმომადგენლობა აწარმოებს მოქალაქეების მიღებას ყოველ დღიურ რეჟიმში, საფუძვლიანად ეცნობა თითოეული მოქალაქის საკითხს და შესაბამისი განცხადების საფუძველზე ხდება რეაგირება სხვადასხვა სამსახურებთან.წარმომადგენლობა უშუალოდ არის ჩართული დიდუბის რაიონის ყველა პროექტისა და ღონისძიების დაგეგმაში.

მოსახლეობა

სულ დიღმის მასივში ცხოვრობს 40 000 ადამიანი, აქედან სოციალურად დაუცველის სტატუსით სარგებლობს დაახლოებით 6 000 ადამიანი, რომელთაგან 800 უფასო სასადილოს ბენეფიციარია, 1 250 დევნილი, 11 500 პენსიონერი, 400 ვეტერანი.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

2019 წლის ნოემბრიდან დღემდე სულ განცხადებით მოგვმართა 125-მა ადამიანმა.საიდანაც 95% იყო სოციალურ თემაზე, ხოლო 5 % მოიცავდა სხვადასხვა საკითხებს. განხორციელდა დაახლოებით 800-მდე სატელეფონო შუამდგომლობა. პირადად შევხვდი 1200 - მდე მოქალაქეს.

სოციალური საკითხი

რაც შეეხება სოციალურ საკითხებს, რომელიც მოიცავს ოპერაციებს, მედიკამენტებს, მკურნალობას, გამოკვლევას, ერთჯერად დახმარებას, სარეაბილიტაციო კურსებს, სარიტუალო მომსახურებას, შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა ყველა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველ და მეორე მოთხოვნა შორის პერიოდი 4 თვეზე ნაკლები იყო.

დეპუტატის შუამდგომლობით განცხადებების დიდი ნაწილი დააკმაყოფილა დიდუბის რაიონის გამგეობამ, ასევე სხვადასხვა რაიონის გამგეობებმა და ქ. თბილისის მერიის სოციალურმა სამსახურმა.

ინფრასტრუქტურა

ამხანაგობა

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების განყოფილების მიერ მოხდა სადარბაზოს შიდა რემონტი,ლიფტების შეკეთება, წყალსაწრეტი მილების შეცვლა , შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეცვლა.

1. ქანობიანი სახურავი გამოიცვალა **6** მისამართზე.
2. ლიფტების შეკეთება მოხდა **28** მისამართზე.

3. წყალსაწრეტი მილების შეცვლა **3** მისამართზე.
4. შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეცვლა **5** მისამართზე.
5. სადარბაზოს შიდა რემონტი **3** მისამართზე.
6. საერთო სარგებლობის კიბეების აღდგენა **1** მისამართზე.
7. ბრტყელი სახურავი**1** მისამართზე.

აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად ჯამური თანხა შეადგენს **1368013** ლარს.

ჩატარებული ინფრასტუქტურული სამუშაოები

საგზაო სამუშაოები ჩატარდა **27** მისამართზე- **1893873.53** ლარი.

სკვერის დემონტაჟი **4** მისამართზე- **1886.38** ლარი.

ახალი მოაჯირები **9** მისამართზე- **36074.45** ლარი.

მოაჯირების აღდგენა-შეკეთება **12** მისამართზე-**7656.65** ლარი.

სანიაღვრე კანალიზაცია მოეწყო **7** მისამართზე- **95834.45** ლარი.

სპორტული მოედნები მოეწყო **21** მისამართზე- **177638.60** ლარი.

ახალი სკვერის მოწყობა **4** მისამართზე-**798950** ლარი.